



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 17

26 აპრილი 2011 წელი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 მარტის №11 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №1-ში და ცვლილებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

/ ცარო სამაგლიშვილი /



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახური

შემოწმების აქტი №

ქ.დუშეთი

შედგენის თარიღი -----

დამრღვევის დასახელება და მისამართი -----

(მაინდეფიცირებული დოკუმენტების მონაცემები)

სამშენებლო საქმიანობის ობიექტი

(მისამართი,საკადასტრო კოდი, მესაკუთრე)

დამრღვევს -----მიეცა №----- მითითება-----

(უფლებამოსილი ორგანოს მითითება)

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის -----

1.-----

2.-----

3.-----

4.-----

5.-----

აქტის შედგენის მომენტში მშენებარე ობიექტის ფეკობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ

(დარღვევის სახეები)

აღნიშნულიდან გამომდინარე აქტს ვადგენთ, რომ მითითება:

ა) შესრულდა;

ბ) არ შესრულდა;

გ) არადროულად შესრულდა;

აქტი შედგენილია სწორად რასაც ხელმოწერით ვადასტურებთ -----

შედგენის თარიღი: -----

აქტი გაეცნო და ჩაბარდა:-----